ხაშურის მოამბე

№19 (150) 14 მაისი, ორშაბათი, 2018 წელი

- საკრებულოს რიგგარეშე სესია -

სურამში ლესია უკრაინკას და წმინდა მარიამის ქუჩები მოასფალტდება

8 მაისს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესია. სესიაზე ორი საკითხი იყო გატანილი. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო პირველი საკითხი, რომელიც „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ" საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბერს №48 დადგენილებაში ცვლილებებს ითვალისწინებდა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის № 952 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 ათასი ლარი. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებულმა მოთხოვნამ შედეგი გამოიღო და ეს თანხა სათაურში გამოტანილ მიზნებს მოხმარდება. ლესია უკრაინკას და წმინდა მარიამის ქუჩები (უბნები) სურამში, დამსვენებლებისა და ვიზიტორებისათვის ერთობ მიმზიდველი ადგილებია და ეს სიახლე კიდევ უფრო გაზრდის მათ რიცხვს, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდთან მომავალშიც ინტენსიურად წარიმართება დიალოგი და იმედია, მათი თანადგომით, სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც განხორციელდება.

აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავი

ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. „მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ცოტანი დარჩნენ, ქედს ვიხრი მათ წინაშე. ესენი არიან ძალიან დასაფასებელი ადამიანები, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და მხნეობას. თავის მხრივ, ხაშურის მუნიციპალიტეტი ყველაფერს აკეთებს, რომ მათ ყოფა გაულამაზოს." – აღნიშნა მან თავის გამოსვლაში.

ღონისძიებაში, რომელიც მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე გაგრძელდა, კულტურის ცენტრების გაერთიანების და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლები და ხალხური სიმღერის გუნდები მონაწილეობდნენ.

ღონისძიების ბოლოს, მეორე მსოფლიო იმის ვეტერანებს მუნიციპალიტეტისგან საჩუქრები გადაეცათ.

სურამის სადაბო პოლიკლინიკა – დარგის ლიდერი

ამ დღეებში, სურამის სადაბო პოლიკლინიკაში სასიხარულო შეტყობინება მოვიდა. მკითხველს ვთავაზობთ ამ შეტყობინების ამონარიდს:

შპს „სურამის სადაბო პოლიკლინიკის" დირექტორს **მაყვალა მაისურაძეს**

ქალბატონო მაყვალა,

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი მოგესალმებით და გიგზავნით ოფიციალურ შეტყობინებას საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური რეიტინგების საბოლოო შედეგების შესახებ: სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ფულადი და სხვა სავალდებულო გადასახადების საფუძველზე ჩატარებული რანჟირების შედეგების თანახმად, თქვენს დაწესებულებას, საქართველოს მასშტაბით, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, მიენიჭა „რეიტინგი ოქრო" და დაიმსახურა საპატიო წოდება „დარგის ლიდერი", რაც თქვენს მაღალ კონკურენტუნარიანობაზე, საიმედოობასა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ შპს „სურამის სადაბო პოლიკლინიკამ ასევე „რეიტინგი ოქრო" შიდა ქართლის საწარმოებს შორისაც მოიპოვა.

ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით ვულოცავთ ქალბატონ მაყვალას, პოლიკლინიკის ფინანსურ მენეჯერს ქალბატონ მედეა ხაჩიძეს და მთელ კოლექტივს ამ გამარჯვებას და გვჯერა, ისინი კვლავაც ასეთივე წარმატებით იმოღვაწებენ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

- „მომავლის სახლი" შშმ ბავშვებისათვის - სახლი, სადაც მეგობრობენ, უყვართ, ზრუნავენ...

"მომავლის სახლი" ოფიციალურ საქმიანობას ერთი წლის წინ შეუდგა, მანამდე კი ჩამოყალიბების, ფიქრის, მუშაობის, ენთუზიაზმის ხუთი წელი იყო. მათი აქტივობების შესახებ, ჩვენც არაერთხელ დავწერეთ. "მომავლის სახლი" შშმ ბავშვების მეგობარია, საზოგადოებასთან მათ ინტეგრაციას ემსახურება. 1 მაისიდან საკუთარი სახლი და რეგისტრირებული მისამართი

აქვთ, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო უწევს კოორდინირებას. თუ რას სთავაზობს "მომავლის სახლი" ბენეფიციარებს, ამ და სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე, სამომავლო სიახლეებზე, დამფუძნებელთან, **ია გასიშვილთან** ვისაუბრეთ:

- ქალბატონო ია, მოგვიყევით, რა გზა გაიარეთ იქამდე, სანამ „მომავლის სახლს" ოფიციალურად დაარეგისტრირებდით?

–ექვსი წელია ამ სფეროში ვარ, ძალიან მინდოდა, ის ბავშვები, რომლებიც რაღაც სტიგმის, ან შესაბამისი გარემოს არქონის გამო ჩაკეტილები იყვნენ, გამოსულიყვნენ საზოგადოებაში და ჩართულიყვნენ სხვადასხვა პროცესებში. გული მტკიოდა, როცა მესმოდა, რომ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არსებობდა სახლები ამ კატეგორიის ბავშვებისათვის და ჩვენ ბავშვებს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სწორედ ეს იყო ჩვენი თავდაპირველი სურვილი, რომელიც მიზნად იქცა ამ ექვსი წლის მანძილზე-გვინდა, რომ 18 წლის ასაკში მათ ჩვენგან გაყვეთ ის უნარები, რომლებიც დაეხმარებათ, დამოუკიდებლად გნაგრძონ ცხოვრება. ვიღაცა თიხაზე, კერამიკაზე,თექაზე მუშაობას შეძლებს,ვიღაცა სხვა პროფესიულ უნარებს შეიძენს.

- როგორც ვიცი, იმ ბავშვების რაოდენობა, ვინც განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ, ჩვენს მუნიციპალიტეტში, არც ისე მცირეა...

–ეს ექვსი წელი არ ყოფილა მარტივი, არც ერთი დღე არ დამიკარგავს უქმად. უამრავი დაპირების მიუხედავად, მარტო აღმოვჩნდი და დამოუკიდებლად, დიდი ენთუზიაზმით ვაკეთებდი ყველაფერს. ჩვენს მუნიციპალიტეტში,როგორც ჩემთვის ცნობილია,შშმ ბავშვების რაოდენობა 200-ია, თუმცა, მონაცემთა ბაზაში ყველა არაა რეგისტრირებული. მინდა, თქვენი საშუალებით, ხმა მივაწვდინო ყველა ოჯახს, ნუ ჩაკეტავენ, ნუ დამალავენ შვილებს, "მომავლის სახლი" ყველას თნადგომას შეძლებს.

- ამჟამად, ვინ გიწევთ დახმარებას?

–ჯანდაცვის სამინისტროს ბაზაზე ვართ. გორის "კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის" ფილიალად მოვიაზრებით. ძალიან დიდ მხარდაჭერას გვიცხადებს მისი მენეჯერი, თინა ბრეგვაძე. აქამდეც, ძირითადად,სხვა არასამთავრობოების ზრუნვის და მხარდაჭერის იმედად ვიყავით.

-რამდენი ბენეფიციარია „მომავლის სახლში" და რას სთავაზობთ მათ? როგორია ერთი დღე „მომავლის სახლში"?

–ამჟამად, 20 შშმ ბავშვია "მომავლის სახლში" რეგისტრირებული, თუმცა, სამომავლოდ, 10 ბავშვის დამატებას ვაპირებთ. 10 საათიდან 17:30 წუთამდე ვმუშაობთ, ვიწყებთ პატარა ჯგუფებიდან (ბენეფიციართა ასაკი 6-18 წელს მოიცავს ამ ეტაპზე), დილის საუზმით, ვარჯიშით და ვმუშაობთ უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე, რადგან ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც გავიხსენით. 3 საათიდან მეორე, მოზრდილების ჯგუფი მოდის. ხვდებათ სადილი. შემდეგ სპეც. მასწავლებლები ამეცადინებენ იმ საგნებში,რომლებიც მათთვის რთულია. ამის შემდეგ, უკვე ხელოვნების თერაპიას გადიან მათი სურვილის მიხედვით. ჩვენი ინტერესიც,სწორედ მათი პროფესიული უნარების გამომუშავება და ჩამოყალიბებაა. ძალიან დიდი სტიმულია ჩვენთვის, როდესაც ვხედავთ, რამხელა სიხარულით მოდიან ბავშვები და წასვლა არ უნდათ.

- რამდენი ადამიანია თქვენთან დასაქმებული და მასწავლებელთა კვალიფიკაცია თუა მოთხოვნის შესაბამისი?

–ორი სპეც. მასწავლებელია,ორი თანაშემწე. აგრეთვე გვყავს თექის,კერამიკის მასწავლებელი, მუსიკის მასწავლებელი. მთლიანად, 6 მასწავლებელია, რომლებმაც გაიარეს გადამზადების კურსები და გარდა ცოდნისა, დიდი ენთუზიაზმით გამოირჩევიან. სამზარეულოს ერთი ადამიანი უძღვება. გვყავს მენეჯერი, მასაჟისტი და ველოდებით ლოგოპედს. მომავალში გვექნება ტრანსპორტით მომსახურების სერვისი.

- სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობთ, სამომავლოდ თუ გეგმავთ სხვა აქტივობებს?

–უამრავი აქტივობა გვაქვს დაგეგმილი. ეს ორი წელია, აქტიურად ვართ ჩართული ბევრ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაში. ახლა უფრო მეტი ენთუზიაზმით გავაგრძელებთ. ის, რომ არ არსებობს შეზღუდვები, ჩვენ ამ სტერეოტიპს დიდი ხანია ვამსხვრევთ. გვყავს უამრავი მოხალისე,რომლებიც მოდიან ჩვენთან და ეხმარებიან ამ ბავშვებს სხვა უნარების გამომუშავებაში.

- რას ეტყოდით მშობლებს, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმების მსხვერპლნი არიან?

–ძალიან მინდა იმ მშობლებს მოვუწოდო, რომლებიც საზოგადოებრივი შეხედულებების მსხვერპლნი არიან და მათთვის საზოგადოების აზრი ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარ შვილზე-ნუ დამალავთ, ნუ შეგრცხვებათ საკუთარი შვილების, მოდით "მომავლის სახლში"-ჩვენ ვეცდებით დაგარწმუნოთ,ვეცდებით გაჩვენოთ ის შესაძლებლობები,რომელიც თქვენს შვილს აქვს. ამისთვის, ჩავატარებთ უამრავ ტრენინგს კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად, შევქმნით მშობელთა კომიტეტებს და ვაჩვენებთ,

რომ განათლება და თანადგომა ბევრ პრობლემას აგვარებს.

გარდა ამისა, მინდა, მოვუწოდო იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი აქვს რაიმეთი დაგვეხმაროს, სიამოვნებით მივიღებთ დახმარებას. ერთმა ადამიანმა სამზარეულოს ინვენტარი გვაჩუქა. კოკა-კოლას ფირმის წარმომადგენელმა - მერხები. ფიტნესდარბაზმა ბავშვებს კვირაში სამდღიანი აბონიმენტი შესთავაზა, ბავშვებს შეუძლიათ ივარჯიშონ და ისარგებლონ მასაჟის კურსებით. გივი ლიჩელი კვირაში ორჯერ უტარებს მუსიკის გაკვეთილებს, აგრეთვე, ნონა თედიაშვილმა გამოთქვა სურვილი ცეკვის გაკვეთილები ჩაატაროს. ასეთი ადამიანების არსებობა მაძლევდა სტიმულს,რომ მეკეთებინა საქმე, რომელსაც სხვა ადამიანების ბედნიერება მოაქვს შედეგად, იმედი მაქვს, მომავალში, უფრო მეტნი ვიქნებით ღია და კეთილი საზოგადოებით.

ქალბატონ იასთან საუბრის შემდეგ,ბავშვების მშობლებსაც გავესაუბრეთ.

რამდენიმე მათგანი დიდი ხანია თანამშრომლობს მომავლის სახლთან, ზოგისთვის ეს ახალია, თუმცა, შედეგს კარგად ხედავენ-მათი შვილები ბედნიერები არიან სახლში, სადაც მეგობრობენ, უყვართ და ზრუნავენ.

თ. ჯავახიშვილი

ცხადდება ვაკანსია

ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ „ხაშურის მოამბე" მუდმივად ცდილობს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პროპაგანდისა და პიარის კუთხით, დახმარება აღმოუჩინოს მუნიციპალიტეტში არსებულ მცირე თუ საშუალო ბიზნესს. ეს „პროგრამა", რა თქმა უნდა, მომავალშიც გაგრძელდება, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე გადის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აღმავლობის გზა. დღეიდან კი, ახალ რუბრიკას ვიწყებთ - „ცხადდება ვაკანსია". ჩვენ უკვე დავუკავშირდით ამ სფეროში დასაქმებულ პირებს და თუნდაც ერთი ვაკანსიის შემთხვევა, ფართო აუდიტორიისათვის გახდება ცნობილი, რაც, ვფიქრობთ, ბევრ უმუშევარ მოქალაქეს დააინტერესებს. დღევანდელი „პირველი მერცხალი" კი სურამში, ამ თვის ბოლოს ასამოქმედებელი კაფე „ოქროს ხელები". როგორც კაფეს მფლობელი, ბატონი ირაკლი გარადინსკი აცხადებს, ობიექტი სურამის ცენტრში განთავსდება, მოემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე დამსვენებლებს და მათ განსაკუთრებით გემრიელ და ხარისხიან საკვებს შესთავაზებს ლამაზ, სუფთა და კომფორტულ გარემოში.

„ოქროს ხელები" სამუშაოდ იწვევს ენერგიულ, მოტივირებულ, ყურადღებიან მსურველებს (სქესს არ აქვს მნიშვნელობა), რომ გახდეს ერთიანი გუნდის წევრი და ყველამ ერთად უმასპინძლოს კაფეს სტუმრებს.

ამ ეტაპზე კი შემდეგი ვაკანსიებია:

1. მოლარე - 40 წლამდე;
2. მიმტანი - 30 წლამდე;
3. მზარეული - გამოცდილი პროფესიონალი.

დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე:
577-12-55-14
წარმატებებს გისურვებთ!

ქართული ელჩობა ევროპაში- გეზი ევროპაზე

გასულ ნომერში კიდევ ერთი წარმატებული ხაშურელი ახალგაზრდის შესახებ გიამბეთ. გვანცა ცხოვრებაშივილი გომის საჯარო სკოლი XI კლასის მოსწავლეა, რომელმაც ზამთრის ქართველოლოგიური სკოლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საპრიზო ადგილი დაიკავა. დღევანდელ ნომერში კი გვანცას გამარჯვებულ თემას გთავაზობთ: ,,ქართული ელჩობა ევროპაში - „გეზი ევროპაზე."

საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის საწყისები საუკუნეების განმავლობაში იკარგება.ალექსანდრე I-ის დროს მოეწყო ქართველთა პირველი ელჩობა დასავლეთ ევროპაში. 1438-39 წლებში გაიმართა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება. მას ესწრებოდნენ კათოლიკური და მართმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები. კრების მიზანი იყო რომის პაპის მეთაურობით ეკლესიათა გაერთიანება.მასში მონაწილეობდნენ საქართველოდან წარგზავნილი ელჩებიც. დელეგაციათა დიდმა ნაწილმა ხელი მოაწერა უნიას ეკლესიათა გაერთიანების შესახებ. ქართველმა დესპანება ხელი არ მოაწერეს უნიას. ქართველი ელჩების ყოფნას საეკლესიო კრებაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ქართველმა ელჩებმა დაიცვეს მართმადიდებლური ეკლესიის ინტერესები და მეორეც,ქართველები უშუალოდ გაეცნენ ევროპაში არსებულ ვითარებას და კარგად შეეძლოთ დაენახათ, თუ რა დახმარების გაწევა შეეძლო ევროპას.

1453 წელს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის მეზობლობა საშუალებას არ აძლევდა საქართელოს აღორძინების ხანის ევროპულ კულტურას დაკავშირებოდა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ მესვეურებს საუკუნეების მანძილზე არ შეუწყვიტავთ მცდელობა ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისა.

XV ს-ის 50-იან წლებში, ევროპაში დაიწყო დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველებსაც. ამ მიზნით, საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. ქართველმა მეფე-მთავრებმა კოალიციაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს და უკან გაბრუნებულ ელჩს თავისი ელჩებიც გააყოლეს. ელჩები შეხვდნენ უნგრეთის მეფეს, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს, საფრანგეთის მეფეს, რომის პაპს , მილანის ჰერცოგს. მიუხედავად ამისა, ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა.

ქართლის მეფემ კონსტანტინე II-მ (1478-1505წ) თურქმანების განდევნის შემდეგ წერილი გაუგზავნა ესპანეთის „კათოლიკე მეფეებს" და ანტიოსმალური კოალიციის შექმნა შესთავაზა, მაგრამ ამაოდ.

XVII ს-ე ახალ ეტაპი იყო საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობას ისტორიაში. კათოლიკურმა რომმა ცხოველი ინტერესის გამოჩენა დაიწყო საქართველოს მიმართ.

1621 წელს დომინიკელმა ბერმა პაოლო-მარია და ფაენცამ პატარა წიგნაკი გამოსცა საქართველოს შესახებ. რომის პაპს საგანგებო მოხსენებები წარუდგინეს პიეტრო დელა ვალემ და გრიგორიო ორსინიმ. სათანადო ინფორმაციის დაგროვების შემდეგ, რომის პაპმა ურბან VIII-მ და კარდინალებმა გდაწყვიტეს უფრო ენერგიულად მოეკიდათ ხელი მისიონერული მოღვაწეობისათვის საქართველოში და ეს მისია ვატიკანმა თეატინების ორდენს მიანდო.

1626 წლის მაისის დეკრეტით, რომში გადაწყდა 5 თეატინელი მისიონერის გაგზავნა, მაგრამ თურქეთის ტერიტორიაზე გავლით მოგზაურობის საშიშროებასთან დაკავშირებით, ეს ჯგუფი გაიყო ორად და პირველად სამი მისიონერი გაიგზავნა. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი დონ პიეტრო ავიტაბილე იყო.

იტალიელმა მისიონერებმა თურქეთის გავლით საქართველოსკენ გზა ვერ გააგრძელეს, დაპატიმრებას ძლივს გადაურჩნენ და იძულებულნი გახდნენ, მესინაში დაბრუნებულიყვნენ, სადაც დარჩნენ წლის ბოლომდე. ამ დროს, მათთვის ცნობილი გახდა, რომ მესინაში ჩავიდა საქართველოს მეფის თეიმურაზ I–ის ელჩი ნიკიფორე ირბახი. წმინდა ბასილის წესის ბერი, საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებული.

თეატინელმა მისიონერებმა "გაიხარეს, როდესაც გაიგეს პაპთან, ესპანეთის მეფესთან და იტალიის მთავრებთან ერთად ქართველი მეფის ელჩის ჩასვლის შესახებ, რომელიც სპარსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმრების სათხოვნელად იყო გაგზავნილი. მას სხვა ამალა არ ახლდა, გარდა ორი ბერისა და ერთი თარჯიმნისა.იგი დიდებული შეხედულებისა იყო, თავმდაბლი, თავაზიანი... ("მრავალთავი" გვ.200)

თეატინელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც პირადად იცნობდა ნიკიფორე ირბახს წერდა: "ჩვენი პატრები ჯერ კიდევ მალტაში იყვნენ, როდესაც მესინაში ჩამოვიდა ერთი კეთილშობილი ქართველი, სახელად ნიკიფორე ირბახი, რომელიც იყო საქართველოს უპირველესი თავადების უკეთილშობილესი გვარისა... იგი გამოგზავნილი იყო მისი მეფის თეიმურაზისგან ევროპაში, რათა დახმარება ეთხოვა, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე სულიერი,სპარსეთის ჯარისგან მთლად განადგურებული უბედურებაში მყოფი საქართველოსთვის.მას, როგორც თვითონ ამბობდა,ასეთი დავალება ჰქონია ესპანეთის მეფესთან და პაპთან" (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერილობა, გვ.52)

იტალიელმა მისიონერებმა ნიკიფორეს დიდი პატივი სცეს. მისცეს სარეკომენდაციო წერილები და მესინიდან ნიკიფორე ნეაპოლში გაემგზავრა, სადაც შეხვდა დონ ჯაკომო დეას. მან დაასაჩუქრა უხვად ნიკიფორე და სთხოვა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისი შვილსთვის-დონ ჯაკომოსათვის მფარველობა გაეწია.

ნიკიფორე ირბახი ნეაპოლიდან პირდაპირ მადრიდში გაემგზავრა. მას მეფესთნ მისვლა გაუჭირდა- "ნაკლებად დაუჯერეს მის ელჩობას, კერძო პატარა სასტუმროში ცხოვრობდა". მას დაეხმარა დონ პლაჩიდო მირტო, რომელიც ესპანეთის სამეფო კარზე დიდი პატივით სარგებლობდა. მან რეკომენდაცია გაუწია მეფესთან ,ამის შემდეგ "ესპანეთის დიდმა მონარქმა იგი მიიღო, როგორც აღ.იბერიის მეფის წარმომადგენელი. ახლა კი დიდის სადღესასწაულო ზარ-ზეიმით უნდა ამდგარიყო და წამოსულიყო თავის სასტუმროდან, რათა მოეთავსებინათ მისი წოდებისთვის შესაფერის სასახლეში. მოეპყრნენ დიდის ბრწყინვალებით" (მრავალთავი გვ.201)

1628 წლის მარტში ისევ მადრიდშია, იმავე წლის აგვისტოში უკვე რომშია.

ევროპაში ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესახებ პირველად ცნობა გამოქვეყნდა XVIIს–ის შუა წლებში, ხოლო შემდეგ XVIIIს–ის დასაწყისში მათი ნაშრომებით (ლამბერტი, სილოსი, ფერო) ისარგებლა მ.თამარაშვილმა, როდესაც იგი ნიკიფორე ირბახის ელჩობას ეხებოდა. (მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ.94)

პაპმა ურბან VIII-მ მაშინვე არ მიიღო ნიკიფორე ირბახი. მან მოისურვა, პირველ რიგში, გაეგო, იყო თუ არა ეს პიროვნება ნამდვილად საქართველოს მეფის ელჩი, მიეღო ზუსტი ცნობები საქართველოს შესახებ, მისი მეფის შესახებ და გაეგო, კერძოდ, თუ ეს ქრისტიანი მეფეა, რატომ ატარებს მუსლიმანურ სახელს-თეიმურაზს?

როდესაც ყველა ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი გასცეს, პაპმა მიიღო საქართველოს მეფის ელჩი. ნიკიფორემ გადასცა პაპს თეიმურაზის წერილი. იბერიის მეფის მიერ გაგზავნილი ბერი ნიკიფორე მის უწმინდესობას წარუდგენს შემდეგ სურვილებს:

,,პირველი- მას სურს, რომ მისმა უწმინდესობამ უპასუხოს წერილზე, რომელიც მას მისწერა იბერიის მეფემ.

მეორე- სურს რომ მისმა უწმინდესობამ ინებოს,მისწეროს და გაუგზავნოს იბერიის მეფეს ცენზორის შენდობა და მიიღოს ეს მეფე რომაულ ეკლესიის წიაღში, როგორც კათოლიკე მეფე.

მესამე- რომ მისი უწმინდესობა ინებებს მისწეროს ესპანეთის მეფეს და რეკომენდაცია გაუწიოს მისი კათოლიკური უდიდებულესობის წინაშე იბერიის მეფეს, რომელიც უკვე პაპის შვილად ითვლება.

მეოთხე- რომ მისი უწმინდესობა სარეკომენდაციო წერილებს მისწერს იმპერატორს და პოლონეთის მეფეს, იბერიაში მისი დაბრუნების დროს და მისცემს საერთო პასპორტს და ასევე მისცემს სარეკომენდაციო წერილს ნეაპოლის მეფის ნაცვალთან , რომელსაც განკარგულება აქვს ესპანეთის მეფისგან, დახმარება აღმოუჩინოს და გაგზავნოს ნიკიფორე , როგორც ეს მან პირველად გააკეთა.

მოსაზრებები ქართველი ელჩის თხოვნაზე მდივანს შუძლია განიხილოს ისე,როგორც ეს მის უწმინდესობას მოესურვება"(მრავალთავი,დოკ.4 გვ.206)

ქართველი ელჩის თხოვნას უპასუხეს საერთო ფორმებში.

- მის უწმინდესობას არ შეუძლია უპასუხოს ხსენებულ მეფეს, მაგრამ თუ აღსარებას იტყოდა და რომში გამოგზავნიდა ნამდვილად მეფის ხელით ხელმოწერილ ფორმას, იგი მას მიიღებდა , როგორც უძვირფასეს შვილს რომაულ წმინდა ეკლესიაში და მოეპყრობოდა მას ისე, როგორც დანარჩენ კათოლიკე მეფეებს და მისწერს ესპანეთის მეფეს, საფრანგეთის მეფეს, ვენეციის რესპუბლიკას, რეალურ რეკომენდაციებს გაუწევს მას ამ მეფეების წინაშე. იმის მიხედვით, რა შედეგებით წავა მოლაპარაკება, მფარველობას გაუწევენ, დაიცავენ მას, მის სამეფოს.... სინოდი მისცემს დაბეჭდილ დოკუმენტს ხსენებულ მეფეს, რათა ნახოს ძალა, და განიხილონ თავისი სამეფოს საშუალებით და საფუძვლიანად დაამტკიცონ აღნიშნული კავშირი, რომელიც არასოდეს არ დაირღვევა.

- შეიძლება წერილის დაწერა მეფესთან, რომელიც შეიცავს პასუხის შინაარს და გადასცემენ ელჩს.

- მეორე- მისცემენ ხსენებულ თეატინელებს და მირას არქიეპისკოპოსს ინსტრუქციას იმაზე , რომ თუ რას ქადაგებს რომაული წმინდა ეკლესია და ამ პროვინციის ხალხი. საქართველოში პრელატებს და მღვდლებს ამ კათოლიკურ სარწმუნოებაში ჩარიცხავენ.

მესამე- უნდა მისცენ სარწმუნოების აღიარების ზოგიერთი დოკუმენტი ბერძნულად იმ ფორმით, რომელიც წმინდა გრიგოლ XIII-მ შეადგინა.

მეოთხე- თუ შეიძლება მისცენ დიდი და მცირე დოქტრინები, კარდინალ ბელარმინოს მიერ ბერძნულ სალაპარაკო ენაზე დაბეჭდილი, რათა წაიღონ თავისთან ხალხის გასათვითცნობიერებლად.

მეხუთე - თუ მოისურვებდნენ, რომ მეფემ აღიაროს სარწმუნოება, რომელსაც რომაული წმინდა ეკლესია ატარებს და დარწმუნდნენ, რომ შემონახულია უწმინდესად და იმავე წესით, როგორითაც ასწავლიდნენ მოციქულები წმინდა პეტრე და წმინდა პავლე და აღიარებდნენ კანონიერი სინოდის შეკრებილნი უკანასკნელ კრებაზე ტრიდენტინოში.

ნიკიფორე ირბახი დაახლოებით 1 წელი დარჩა რომში. 1629 წელს იქ დაიბეჭდა ქართულ-იტალიური პირველი ლექსიკონი, შედგენილი სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის მიერ.

თეიმურაზის მიზნები მიუღწეველი დარჩა, რადგან იგი ითხოვდა დახმარებას ირანის წინააღმდეგ,რაც სამწუხაროდ არ შედიოდა ევროპის სახელმწიფოთა გეგმებში.

ევროპელებს ჩვენი ქვეყანა აინტერესებდათ როგორც მნიშვნელოვანი და მოსახერხებელი გეოგრაფიული ერთეული ირანთან ვაჭრობაში. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი , რომ XVIIს–ის 20-30–იან წლებში საქართველოში მომრავლდნენ უცხოელი კომერსანტები და კათოლიკე მისიონერები. განსაკუთრებით დაინტერესდნენ იტალიის ქალაქები.

საქართველოში გამოგზავნილ მისიონერებს სათანადო პირობები არ ჰქონდათ და გადავიდნენ ოდიშის სამთავროში ლევან II დადიანთან. მისიონერებმა გადასცეს მთავარს საჩუქრები და რომის პაპის ურბან VIII–ის წერილი, მთავარმა მისიონერები კარგად მიიღო, განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა პაპისთვის წერილი გაეგზავნა. 1634 წელს მთავარმა მისიონერებს მამულები უბოძა წიფურიაში. ლევან II დადიანის ხელი ევროპასთან დაახლოების საქმეში უეჭველია იყო ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. სწორედ მისი მცდელობის შედეგი იყო ოდიშში კათოლიკური მისიის დაფუძნება და ევროპული ორიენტაციის სარგებლობაზეც მან მიუთითა ლევან დადიანს.

ლევან II დადიანმა, ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან და იტალიელ მისიონერებთნ,ერთად შეიმუშავა პროექტი ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობისა. შემუშავდა პროექტი ახალი სავაჭრო გზით ევროპასთან ვაჭრობისა, ამ გზას ოდიშზე უნდა გაევლო „თუ შესაძლებელი იქნებოდა, კონსტანტინეპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა, აბრეშუმის მიყიდვას მთლად მისი სამთავროდან,აგრეთვე ნაწილობრივ სპარსეთისასაც. ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმის ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად , ნაღდ მოგებას ნახავდნენ ის ვაჭრები

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

ქართული ელჩობა ევროპაში-გუნი ევროპაზე

რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც აქ იაფად შეისყიდიან საქონელს ზღვით ჩაიტანდნენ საფრანგეთში“ (ილია ანთელავა, ლევან II დადიანი გვ.110)

ლევან II დადიანმა, მისიონერების ჩამოსვლის შემდეგ, დაიწყო ამაზე ზრუნვა. რუხის ტერიტორიაზე პატარა ქალაქი მოაწყო და დუქნები ააშენა, დაასახლა ჩხარელი და ჩიხორელი ვაჭრები, ეროვნებით სომხები და ებრაელები. არქანჯელო ლამბერეტის ცნობით, დადიანმა სრულად განაახლა ქვეყანა იმით, რომ ეს ვაჭრები მოიწვია, ზარაფხანა გახსნა, ააშენა ციხეც. ვახუშტის ცნობით: „ანაკრიის აღმოსავლეთ ამ მდინარეზე (ენგურზე) არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე, აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესა ჩქმზ ქართულსა ტლე“ (1647წ.). მთავარმა მოლაპარაკება გამართა სტამბოლში მყოფ ვენეციის წარმომადგენელთან, საქმე თითქოს წინადადებით ხორციელდებოდა, მაგრად განხეთქილების გამო ვენეციასა და თურქეთს შორის, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ლევან II დადიანმა სხვა მისიონერი დონ კლემენტე გალანო მოავლინა სტამბოლში, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

ლევან II დადიანმა ამასიის ზავის შემდეგ აქცენტი აიღო ევროპასთან ურთიერთობის ეკონომიკურ ასპექტზე და 1643 წელს ოდიშის მისიის პრეფექტს ჯუზეპე ჯუდიჩეს წერილი გაატანა რომის პაპთან. მ.თამარაშვილმა მიაკვლია წერილს და რუკით ჩავიდა, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „რომის პაპის ამ აგენტების საქმიანობა, მარტო კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით არ ამოიწურებოდა, მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფი, ასტრონომი და სხვა საერთო ცოდნით აღჭურვილი. კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა, ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ“. (ნ.ბერძენიშვილი საქ. ისტორიის საკითხები ტ.III).

ამრიგად, ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ევროპასთან კავშირი. მისიონერების მეშვეობით საქართველომდეც აღწევდა განათლებული, კულტურული ევროპის სიო.

ამაო გამოდგა XVIII საუკუნეშიც სულხან-საბას დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში ვახტანგ VI-მ დახმარების მიზნით, შემწეობა სთხოვა რომის პაპს და ლუი XIV-ს. რომელსაც, სამწუხაროდ, საქართველო არ აინტერესებდა, ირანს ევროპის ქვეყნები თურქეთის მოკავშირედ განიხილავდა. საფრანგეთსა და ირანს შორის დადებული იყო სავაჭრო ხელშეკრულება და ვახტანგის გამო ლუი XIV შაჰთან ურთიერთობას არ გაიფუჭებდა.

„რაც შეიტანა, - ისევ ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.“

.ხშირად სულხან-საბასა და ნიკიფორე ირბახის დიპლომატიურ მისიებს შორის ავლებენ პარალელს. სამწუხაროდ, მიუხედავად მცდელობისა, ამ ელჩობებს შედეგი არ მოჰყოლია.

საქართველო ცივილიზაციის იდეალებით და კულტურით ევროპის დასავლური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა და ეს შეგრძნება მას პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იზოლაციის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე არ დაუკარგავს.

ქართველი პოლიტიკოსების ოცნება რეალობად იქცა. საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა და იმედია უფრო მჭიდრო ურთიერთობები დამყარდება საქართველოსა და ევროპას შორის.

- სოფლის მეურნეობა -

ექნება თხების ფერმას მომავალი?

უამრავი წარმატებული ფერმერი გავაცანით ჩვენს მკითხველს, რომლებიც აქტიურად იყვნენ დაკავებულნი მსხვილფეხა თუ წვრილფეხა მესაქონლეობით, თუმცა, თხების ფერმაზე პირველად გიამბობთ, რომელთა მოშენება, არცთუ ისე წარმატებულ საქმიანობად იქცა ქავთარაძეების ოჯახისათვის. უკვე ექვსი წელია, იტრიაში მცხოვრები ქალბატონი მარინა ქავთარაძე, ოჯახთან ერთად, შეჭიდებია ამ საქმეს, თუმცა მთელი რიგი მიზეზების გამო, ეს შრომა ოჯახის შემოსავლებზე სათანადოდ არ აისახება. როგორც იცით, თხის რძე გაცილებით მარგებელია ძროხის რძესთან შედარებით, ყველა იმ რძის ნაწარმის დამზადებაცაა შესაძლებელი, როგორც ძროხის რძის შემთხვევაში, ამასთან გაცილებით ძვირი ღირს, თუმცა, შედავათი ოჯახს არც ამ პირობებმა მოუტანა. როგორც ქალბატონმა მარინამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ფაქტობრივად, ვერ ახერხებს პროდუქციის გასაღებას და იძულებულნი გახდებიან შეეშვან ამ საქმიანობას.

მარინა ქავთარაძე: ეს საქმიანობა 6 წლის წინ დავიწყეთ, მხოლოდ ორი ციკანით. რა თქმა უნდა, გაჭირვებამ გადაგვაწყვეტინა, ვფიქრობდით, რომ ამ საქმიანობით ოჯახის ბიუჯეტი გაიზრდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. ამასთან, თხის რძე გაცილებით მარგებელია და პირუტყვიც უფრო ადვილად მოსავლელი, ავადმყოფობების მიმართ მდგრადი ცხოველია, არც ბევრ აცრას და წამალს საჭიროებს. იყო დრო, როდესაც თხების რაოდენობა 80 სულამდე გაიზარდა, მაგრამ, გამომდინარე იქიდან რომ ვერ ვასაღებდით პროდუქციას, ამჟამად 46 სულამდე ჩამოვედით, რომელთაგან 16-ია მეწველი თხა. ამ საქმეს მე, ჩემი მეუღლე და მამამთილი ვუძღვებით. სამწუხაროდ, ვერც რძეს და ვერც სხვა რძის ნაწარმს მაღაზიებში ვერ ვაბარებთ, მხოლოდ სეზონურად დამსვენებლები ყიდულობენ, ამასაც, ძალიან მცირე რაოდენობით და ძროხის რძის ფასად, მოგეხსენებათ, თხის რძე გაცილებით ძვირი ღირს. ოჯახს გვინდოდა, რომ რძის გადამამუშავებელი საწარმო აგვეშენებინა, თუმცა საქმე ნახევრამდეც ვერ მივიყვანეთ, უსახსრობის გამო, საჭიროა შენობის ბოლომდე სრულყოფა და დანადგარების შეძენა.



ძალიან შრომისმოყვარე და საქმისათვის თავდადებული ოჯახია, დასანანია, რომ ამ საქმეში ხელშეწყობა ვერ მიიღონ. ჩვენთან საუბრის შემდეგ ქალბატონმა მარინამ სოფლის მეურნეობისა სამინისტროს ხაშურის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის სპეციალისტებთან გაიარა კონსულტაცია, რომლებმაც მთავრობის ინიციატივა გააცნეს. ესაა შესანიშნავი შანსი ახალგაზრდა მეწარმეებისათვის, რომელთაც სურთ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროგრამის მიზანია რომ სტიმული მიეცეს სოფლად ახალგაზრდა მეწარმეებს, რათა მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდეს. ეს პროგრამა ნამდვილად, რომ დროულია ქალბატონი მარინასთვის და ქავთარაძეების ოჯახისთვის.

დღევანდელი წერილის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ესაა - გვინდა, ამ შრომისმოყვარე ოჯახს მომავლის რწმენა არ დაეკარგოს და სახელმწიფოს თუ კერძო ინვესტორის დახმარებით გააგრძელონ ის საქმე, რომელსაც ამდენი წელია რუდუნებით მისდევენ და გამოცდილებაც დაუგროვდათ. იმედია, ასეც იქნება და ჩვენც წარმატებები გვინდა, ვუსურვოთ ქავთარაძეების ოჯახს.

თ. ახალკაცი

- სასკოლო ცხოვრება -

გაეცნენ ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს და შესაძლებლობებს

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლები, პედაგოგები და მოსწავლეები დიდი აქტიურობით გამოირჩევიან, ბევრ კონკურსსა თუ პროექტში მონაწილეობენ და წარმატებებსაც აღწევენ. მათ შესახებ ჩვენც დიდი სიხარულით ვწერთ. ერთ-ერთი წარმატებული შეხვედრა გაიმართა ცოტა ხნის წინ ქალაქ თბილისში. ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების მხარდაჭერით, სურამის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები პედაგოგ ჯაბა ლაბაძის ხელმძღვანელობით, ტექნოპარკს ესტუმრენ. მოსწავლეები გაეცნენ ტექნოპარკის თანამედროვე მიღწევებს და შესაძლებლობებს. ბოლოს, ჩაუტარდათ პრაქტიკული გაკვეთილი თუ როგორ შეიძლება დაიტანონ Google Map-ზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

კონფერენცია - „სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება: სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევები"

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ, 15 საჯარო სკოლის დირექტორმა და სამმა მასწავლებელმა, თანამედროვე სასკოლო გამოწვევებისა და შეფასების შესახებ გამართულ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

5 მაისს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია – "სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება: სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევები".

კონფერენცია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა" (MCA) და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" (MCC) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

სასკოლო განათლებაში არსებული ვითარების შესაფასებლად ქვეყნები სახელმწიფო და საერთაშორისო კვლევების შედეგებს იყენებენ. სახელმწიფო შეფასება ეროვნული მასშტაბით არსებული სურათის შესწავლაზეა ორიენტირებული, ხოლო საერთაშორისო კვლევები ქვეყნის შედეგების გლობალურ კონტექსტში შეფასების საშუალებას გვაძლევს. საერთაშორისო და სახელმწიფო შეფასებები საქართველოში რეგულარულად ტარდება და მათ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახორციელებს.

კონფერენცია სკოლების დირექტორებისთვის ბევრის მიმცემი იყო და იმედია, ამ კონფერენციაზე გაცნობილი ნოვაციები და სიახლეები უახლოეს მომავალში უშუალოდ აისახება მათდამი დაქვემდებარებული სკოლების ცხოვრებაში.

სასპორტო სკოლის მშენებლობა ზაფხულში დასრულდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქში მიმდინარე სასპორტო კომპლექსის სამუშაოები დაათვალიერა.

სპორტკომპლექსის მშენებლობის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით ხორციელდება.

პროექტის ჯამური ღირებულება 2 292 455 ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს საკალათბურთო-სახელბურთო, საჭიდაო,

ძალოსნობის, მძლეოსნობის და ფიტნეს დარბაზების მოწყობა. შენობის მეორე სართულზე დაგეგმილია საჭადრაკო ოთახისა და სატრენაჟორო დარბაზის განთავსება. მოეწყობა მცირე საკონფერენციო დარბაზი და და კაფე-სასადილოც. შენობაში 40 სტუმარზე გათვლილი სასტუმროც იფუნქციონირებს. სპორტული კომპლექსი ყველა თანამედროვე სტანდარტს უპასუხებს და ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე.

მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი გურასპაშვილის განცხადებით, შენობის მოწყობის სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია.

„ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მინი სტადიონის, საჩოგბურთო მოედნის, ავტოსადგომისა და მცირე რეკრეაციული ზონის მოწყობა. ეზოს კეთილმოწყობის ღირებულება 700 000 ლარია. სამუშაოების დასრულება ზაფხულში იგეგმება. შედეგად კი ხაშურის მოსახლეობა ახალ სპორტკომპლექსს მიიღებს. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული სპორტის განვითარების, ისე ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის,"- განაცხადა გიორგი გურასპაშვილმა.

სურამში, 26 მაისის ქუჩა სრულიად რეაბილიტირებული იქნება

სურამში, 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. პროექტი თანადაფინანსებით ხორციელდება და 542 400 ლარს ითვალისწინებს.

პროექტის ფარგლებში ეწყობა ასფალტის საფარი, სანიაღვრე არხები. 26 მაისის ქუჩაზე 800-მდე მოსახლე ცხოვრობს და პროექტის დასრულების შემდეგ მათი საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება.

აღნიშნულ ქუჩაზე (უბანში) ზაფხულობით დამსვენებელთა დიდი ნაკადი ჩამოდის. ქუჩის ასეთი კეთილმოწყობა კი, რა თქმა უნდა, მკვეთრად გაზრდის მათ რაოდენობას.

მიტოვებული სახლის ტკივილი

საშინელი სიტყვაა „მიტოვებული", ორმაგად საშინელია, როდესაც ეს სიტყვა შენ გეხება. არადა, რა სიხარული იყო, როდესაც ჩემი შენება იწყებოდა. ნელ-ნელა, თოთო ბალღივით ვიდგამდი ფეხს. ფიცარს ფიცარი ემატებოდა და მეც მივიწევდი ზეცისკენ. არა, ზეცას რომ ვერ მივწვდებოდი, თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ სადღაც ზეცის კიდესთან მისვლაზე მართლა ვოცნებობდი. უცებ ავიდგი ფეხი. ჩემმა პატრონმა, სახურავი მორჩა თუ არა, საკლავი დაკლა, ჩემს ულამაზეს ეზოში გაიშალა სუფრა და ფუძის ანგელოზიც დაილოცეს. ო, რა ბედნიერი დღეები იყო.!ჩემს ოთახებში მძინარე ბავშვებს ღამე ჩუმად ვეფერებოდი, საოცარი სანახავი იყო, როდესაც მათ აკვანთან ფუძის ანგელოზი ჩამოჯდებოდა და უგალობდა. მარტო მე ვხედავდი ამას, ვხედავდი და სიხარულის ცრემლი მდიოდა, თან როგორი ამაყი ვიყავი, რომ ამ პაწაწუნა სიცოცხლეებს ჩემს ოთახებში დაგროვილი სითბოთი ვათბობდი.

...ეჰ, დრონი, დრონი! გაფრინდა სიხარულის დღეები. ახლა სულ მარტო ვარ – ჩემი ძმადნაფიცი მთები მანუგეშებენ: – დაბრუნდება შენი პატრონიო. ნეტამც! არადა, ძალიან მიკვირს ამ სილამაზეს როგორ ამჯობინა ქალაქის ამტვერებული ქუჩები. იმედი მაინც ცოცხლობს. მართალია ისეთი მხნე აღარ ვარ, როგორც ახალგაზრდობაში, ამდენმა წვიმებმა და ბოროტმა ქარებმა მუხლში სისუსტე შემიპარა, მაგრამ მაინც ვუცდი და სანამ სისხლის უკანასკნელი წვეთი შემრჩება მანმადე ვიდგები, ვიდგები მტრის ჯინაზე, ვიდგები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და დავუცდი იმ დღეს, როდესაც ის ჩემი პაწაწუნა, ნალოლიავები ბავშვები, უკვე კაცებად ქცეულები, შემოვლენ ეზოში და ამდენი ხნის საოცნებო სიტყვებს წარმოთქვამენ: - ჩვენ დავბრუნდით!

ლევან ენუქიძის ფოტო

„პოეზიის აფთიაქი" -სურამის II საჯარო სკოლაში

გასულ კვირას, სურამის მე-2 საჯარო სკოლას სტუმრობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოეზიის აფთიაქი" და მისი ხელმძღვანელი, პროფესორი და პოეტი ცირა ბარბაქაძე.

ილიაუნის "პოეზიის აფთიაქი" - ს წევრებმა წარადგინეს პოეზიის ახალ აბები და საკუთარ შემოქმედებაზე ისაუბრეს.

შეხვედრის დროს გაიმართა პროფესორ **ცირა ბარბაქაძის** რიტორიკის სკოლის პროგრამის პრეზენტაცია.

ლუკა მაისურაძე საქართველოს ჩემპიონია

კიდევ ერთხელ გაგვახარა ლუკა მაისურაძემ, რომელიც დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთ პერსპექტიულ მოჭიდავედ ითვლება და ალბათ, დიდი დროც აღარაა დარჩენილი, როდესაც იგი დიდების ნაკრებში დაიმკვიდრებს ადგილს. მისი ყველას გვეიმედება-გულშემატკივრებს, პირად მწვრთნელს-ბუხუტი ბუხრიკიძეს და ნაკრების მწვრთნელებს. დღეს, დიდ ნაკრებში 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში არც თუ სახარბიელო სიტუაციაა და იმედია, ამ "ვაკუუმს" სულ მალე ლუკა შეავსებს. რაც შეეხება საქართველსო პირველობას ახალგაზრდებს შორის, აქ ლუკამ ბრწყინვალედ იჭიდავა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

ამჟამად ლუკა, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, ინტენსიურად ემზადება ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებისათვის და გვჯერა, იქაც ღირსეულად დაიცავს ჩვენი მუნიციპალიტეტის და მთელი საქართველოს სახელს.

წარმატება რუსთავში

ამ დღეებში, რუსთავში, ჩატარდა სპორტის დამსახურებული მუშაკის ომარ გუშუშაშვილის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჩვენი სასპორტო სკოლა მწვრთნელების მევლუდ მჭედლიძის და კახაბერ ლომიძის აღსაზრდელებმა ამ ტურნირში სამივე სინჯის მედლები მოიპოვეს. 53 კგ. წონით კატეგორიაში უბადლო იყო ლუკა მჭედლიშვილი, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა და ოქროს მედალიც ირგუნა. ვერცხლის მედალს დასჯერდა მათე გელაშვილი (47კგ.), ხოლო მათე ხუჯაძე(29კგ.) მესამე ადგილზე გავიდა.

ჩვენი მოჭიდავეები არც ბაღდათში ჩატარებულ რესპუბლიკურ ტურნირზე გამოსულან ურიგოდ. ამ ტურნირზე ზაზა გელაშვილი, ჩემპიონი გახდა, ხოლო საბა ჩილაშვილი მეორე ადგილძე გავიდა.

სურათზე: მწვრთნელები: მ. მჭედლიძე და კ. ლომიძე თავის აღსაზრდელებთან ერთად.

რობერტ სუხიაშვილი იუწყება, რაიონის ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ღირსეული წარმომადგენლის

გურამ გაბრიელის ძე სტეფანიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს ასეთი მძიმე დანაკლისის გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.